დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

2025 წლის 26 თებერვალი

ქ. დმანისი

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/01/2018; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.156.016301) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის ,,საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები" ცხრილი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №1

საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო ახალი (2026)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი ახალი (2026)
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი)	———	1	4234	2,9

2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	III	1	2482	1,7
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვასა და საქმისწარმოების საკითხებში	III	1	2482	1,7
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	III	1	2482	1,7
5	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში	III	1	2482	1,7

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**